რევაზ ინანიშვილი

ბიჭი მალხაზი

ბევრი კარგი ბიჭი მინახავს, ვიცი, რომ ქვეყანაზე კიდევ უფრო კარგი ბიჭები იქნებიან, მაგრამ, მე რომ მკითხოთ, ჩემს მეგობარ მალხაზზე უკეთესი ბიჭი არსად არ მეგულება. ერთი უბრალო ბიჭია. გამხდარი, გამხდარი, ქერა თმა ორად თავისთავად ეყოფა. ისეთი თვალები აქვს — ყოველთვის აღტაცებული გგონია, თითქოს ეს-ეს არის საიდანღაც ჩამოფრინდა, პირველად ხედავს ამ ლამაზ ქვეყნიერებას და კარგი და კარგი შთაბეჭდილებებით სავსე, სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებსო. ის რომ გაკვეთილის მოყოლას დაიწყებს — გგონია, გული უნდა ამოატანოს თანაო. ყოველ სიტყვას რაღაც სიძლიერით წარმოთქვამს, ხმამაღლა კი არა, რაღაც თავისებური სიძლიერით; თითქოს იმასაც გეუბნებოდეს — ეს ასეთი კარგია, ასეთი აუცილებელია ამის ცოდნა და როგორ არ უნდა ვიცოდეთო.

ჩვენს სოფელს ხევი აუშნოებს. ის არც ხევია. ოდესღაც წყალს უდენია, მერე დამშრალა. ახლა გაზაფხულზე თუ ჩამოირბენენ ნიაღვრები, გამოიტანენ დალაქები ნაპარსს და დაყრიან, დასჭირდება ნაგვის ეზოდან გატანა ვინმეს და მიადგება ისევ ხევს...

მალხაზს ეს აქვს ცუდი. მოირბენს ჩემთან, ჩამჭიდებს ხელს და მიმარბენინებს — წამო, რა გაჩვენოო. გამიყვანს, ვთქვათ, ვენახების ბოლოზე და გზის პირას ამოთხრილ წყაროს მაჩვენებს.

— ეს მე ამოვთხარე, შენც იცოდე, რომ სხვამ არ დაიჩემოს. ხომ კარგია? გამოივლიან მინდვრიდან მომავალი დაღლილი მშრომელები, გულს გაიგრილე-

LIVEWORKSHEETS

ბენ, ისიამოვნებენ, იკითხავენ – ვინ გააკეთა და დაერქმევა მალხაზის წყარო. ერთი სიტყვით, არაფრის გაკეთება არ სურს, თუკი სახელს არ შესძენს. ხევში ნაგვის დამყრელებს არაერთხელ ვეჩხუბე.

მალხაზსაც ვეუბნები, არ ვარგა ასე, ყველაფერს რომ შენს სახელს არქმევ- მეთქი.

ხევში ნაგავს ისევ ყრიან. მალხაზი თავისას

არ იშლის.

ამასწინათ გახარებულმა მოირბინა ჩემთან. ჩამჭიდა ხელი და წამიყვანა. მივდევ, ხმისამოუღებლად ჩავედით ხევში, მგონია, ახლადდაყრილ ნაგავს მაჩვენებს და საჩხუბრად ამღერდავს. მაგრამ არა, ხევის პირზე აკაციები ჩაურგავს. განა ერთი და ორი? ოცამდე.

– ხომ კარგია? – აღტაცებით შემომყურებს თვალებში. – აკაცია ისეთი ხეა, უეჭველად იხარებს. სულ რამდენიმე წელიწადში დაიზრდებიან კიდეც, გაშლიან ტოტებს, გაიჩენენ ჩრდილებს. შეეფარებიან სიცხით შეწუხებული გამვლელები, იკითხავენ, ვინ დარგა ასე კოხტად, მწკრივში, ეტყვიან ჩემს სახელს და დაერქმევა მალხაზის აკაციები.

ხომ არ არის ცუდი? როგორ უნდა ვუთხრა, ცუდია-მეთქი! მაინც რადაცა მწყვეტს გულს.

სულ რამდენიმე საათში ოთხი ბიჭი ჩაატარა ჩემსავით, აჩვენა ის აკაციები, აუხსნა – ამიტომ და ამიტომ დავრგეო. თანაც დაანამუსა: იცოდეთ და მერე არ გადათქვათ, რომ ჩემი დარგულია და არა სხვისი.

გაიარა ერთმა დღემ, მეორემ და... მესამე დილას დაღვრემილი მოდის. რა იყო-მეთქი, ვეკითხები.

ის მიწყებს მტკიცებას, რომ ქვეყანა ბოროტი ადამიანებით არის სავსე, რომ მათ, ამ ბოროტ ადამიანებს, სხვისი სახელი ყოველთვის შურთ; დაუნგრიეს წყარო, წყალში ჩააგდეს ხიდი, რომელიც მან გადო არხზე, მოუკლეს თეთრი მტრედი და ახლა ის აკაციებიც დაუგლიჯეს, ხევში რომ დარგო ამ რამდენიმე დღის წინ.

ხომ არ არის კარგი ამბავი? როგორ უნდა ვუთხრა, კარგად უქნიათ-მეთქი? მოვკიდე ხელი, წავიყვანე დუდაანთ თონეზე, სადაც მთელი უბნის ბიჭები იყრიან ხოლმე თავს და გამოვაცხადე:

– ხვალ მე და მალხაზი ხევის პირზე აკაციებს ვრგავთ. ვინ წამოვა ჩვენთან ერთად?

თქვენ გგონიათ მეტის თქმა უნდათ?!

– მე, მე, მე... – გაისმა ყოველი მხრიდან.

– მაშინ დილაზე დაგიძახებთ და ბარები წამოიღეთ!

LIVEWORKSHEETS

დილით მთელი უბნის ბიჭები წავედით. დაგვინახეს სხვა უბნელებმაც და, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, თქვენზე მეტს ჩვენ დავრგავთო, გამოიფინენ ბარებით. **ოცი კი** არა, ორასამდე **ძირი** ჩავრგეთ. **წყალიც** დავუსხით, კიდევაც დავასხამთ. აკაცია **ისეთი** ხეა, უეჭველად იხარებს. **დაგლეჯით**, ვინ **დაგლეჯს** — მთელმა **სოფლის** ბიჭებმა დავრგეთ. **უკვე კოკრებიც** გამოიტანა; **სულ** მალე ეს **კოკრები ყლორტებად** იქცევა, შემდეგ **მძლავრ ტოტებად** აიშლება ცაში. გამოივლიან **უცხო** მგზავრები, შეისვენებენ იმათ ჩრდილში, **თვალს** მიმოავლებენ აქაურობას, გააოცებთ ეს მშვენიერი ხეივანი და **ისინიც** იტყვიან: **ბევრი კარგი სოფელი** გვინახავს, **ვიცით**, რომ ქვეყანაზე კიდევ **უფრო კარგი სოფლები** იქნება, მაგრამ ამ **სოფელზე** უკეთესი **სოფელი** მაინც **არსად არ** გვეგულებაო.

გაიცნობენ მალხაზს, მოისმენენ მის საუბარს, გაიგებენ, **რას** ლაპარაკობენ სხვები მასზე და, მარტო მე **კი** არა, **ისინიც** იტყვიან: **ბევრი კარგი** ბიჭი გვინახავს, **ვიცით**, რომ ქვეყანაზე კიდევ **უფრო კარგი** ბიჭები იქნებიან, მაგრამ მალხაზზე უკეთესი ბიჭი მაინც **არსად არ** გვეგულებაო.



LIVEWORKSHEETS

პასუხე კითხვებს

1. **ვინ არის ნაწარმოების მთავარი გმირი? როგორ აღწერს მწერალი მის გარეგონობას? მისი გარეგნობის რომელ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას?**

2. **მალხაზის რა თვისებები მოსწონს მწერალს, რა თვისებები არ მოსწონს?**

3. **რა მიზნით აკეთებს მალხაზი კარგ საქმეებს?**

4. **რამ ატკინა მალხაზს გული?**

5. **რით დაამშვენეს ბიჭებმა სოფელი?**

6. **,,როგორ უნდა ვუთხრა, კარგად უქნიათ- თქო“ - წერს მწერალი როცა მალხაზისაგან აკაციების დაგლეჯის ამბავს იგებს, როგორ ფიქრობთ, რატომ გაიფიქრა ასე მწერალმა?**

LIVEWORKSHEETS

7. **თქვენი აზრით, მართლა ბოროტები არიან ის ბიჭები? რატომ?**

8. **მალხაზს სოფლისთვის სიკეთის გაკეთება სურს, მაგრამ მისი საქციელი მაინც არ მოსწონს მწერალს, არც მის თანატოლებს, რატომ?**

9. **,,დაგლეჯით კი ვიღა დაგლეჯს, მთელი სოფლის ბიჭებმა ერთად დარგეს“ - რისი თქმა სურს ამით მწერალს?**

10. **შეიცვლებოდა ამის შემდეგ მალხაზი?**

11. **დაახასიათეთ მალხაზი ამ ნაწარმოების მიხედვით**

LIVEWORKSHEETS